

შინაგანაწესი, დანართი №10

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-01 03.01.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის  
მეთოდოლოგია

ნდ №2-010102-10

**მუხლი 1. დოკუმენტის შესახებ**

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს ბნსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პრინციპებს, მისი მიზანია ბნსუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვით და გავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრით პროგრამების ეფექტიანობის და მდგრადობის შენარჩუნება. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის ამ და სხვა შიდა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 2. სტუდენტთა რაოდენობის გაღვნა საგანმანათლებლო საქმიანობის მდგრადობაზე და ეფექტიანობაზე**

**1. ეფექტიანობის მაჩვენებლები.** ბნსუ-სთვის ძირითადია საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც გულისხმობს მის ხარისხს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვისთვის აუცილებელია ძირითადი მაჩვენებლების ცოდნა, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების სუბიექტთა რაოდენობა და პროგრამების დაფინანსების საერთო მოცულობა; პროგრამის განხორციელების ხარჯები და სხვ. საგანმანათლებლო საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება პროგრამის სტუდენტთა განათლების დაფინანსების (სწავლის საფასური, გრანტები, სხვ.) ჯამური ოდენობის გაყოფით ამავე პროგრამის სტუდენტთა საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულების (პროგრამის განხორციელების ხარჯები) ოდენობაზე, ხოლო პროგრამის განხორციელების ხარჯების გაყოფით პროგრამის სტუდენტთა რაოდენობაზე მიიღება სტუდენტზე ხარჯებითი ვალდებულებების ნორმატივი;
- დანახარჯების შემცირება განათლების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე;
- განათლების ხარისხის გაზრდა განათლების მომსახურებაზე ხარჯების გაზრდის გარეშე, ანუ ეკონომიკური ეფექტიანობის შენარჩუნების პირობებში შედეგიანობის გაზრდა.

**2. სწავლის საფასური.** იმის გათვალისწინებით, რომ ბნსუ-სთვის ძირითადია საგანმანათლებლო საქმიანობა, ამიტომ ბნსუ-ს ფინანსური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია სწავლის საფასურის მინიმალური შესაძლო ოდენობის განსაზღვრა - იმ მინიმალური შესაძლო ნიშნულის დადგენა, რომელიც არის საკმარისი საგანმანათლებლო პროგრამის რენტაბელობის შესანარჩუნებლად. გამოთვლა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რაც განპირობებულია მათი სპეციფიკით და საჭიროებებით. ამ მიზნით შესაძლებელია შემდეგი ფორმულის გამოყენება: „სწავლის საფასურის მინიმალური შესაძლო ოდენობა = A : B“, სადაც A – საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების საჭირო ოდენობა (ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული დაფინანსება, პროგრამის განვითარებაზე მიმართული დაფინანსება, სხვ.), B - პროგრამის სტუდენტთა საერთო რაოდენობა. ანუ რაც ნაკლებია პროგრამის საჭიროებები და მეტია სტუდენტთა რაოდენობა, მით ნაკლებია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების შემცირება დაუშვებელია, თუ ეს გამოიწვევს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ექვემდებარება პროგრამის უზრუნველყოფა შესაბამისი მოცულობის და ხარისხის ადამიანური და მატერიალური რესურსებით, საფრთხე შეექმნება პროგრამის განხორციელებას და განვითარებას. სწავლის საფასური დგინდება ყოველი აკადემიური წლისთვის და შეიძლება დარჩეს უცვლელი, შემცირდეს ან გაიზარდოს წინა წლების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით. სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში სწავლის საფასური უცვლელი რჩება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ბნსუ-ში და რომლებთანაც ბნსუ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

**3. სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია.** სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციაში იგულისხმება საგანმანათლებლო პროგრამის რენტაბელობის დაცვის პირობებში სასწავლო პროცესის სრულფასოვანი განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად. სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია:

- სასწავლო პროცესის ოპტიმალური დაგეგმვა, რაც გულისხმობს:
  - პროგრამების განმახორციელებლების რელევანტური სასწავლო (საკონტაქტო) დატვირთვის განსაზღვრას;
  - სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის დადგენას;
  - მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის გაერთიანებული მეცადინეობების (ლექციები, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა) ჩატარებას ან მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის ოპტიმალური სასწავლო განრიგის/გეგმის შედგენას;
  - რამდენიმე სასწავლო ჯგუფისთვის გაერთიანებული ლექციების ჩატარების შესაძლებლობას;
  - სასწავლო ჯგუფის ქვეჯგუფებად დაყოფის გამორიცხვას, თუ ეს არ არის განპირობებული სასწავლო პროცესის სპეციფიკით და სხვა ობიექტური საჭიროებით.
- ეკონომიკური პარამეტრების ოპტიმიზაცია, მათ შორის:
  - თითოეული პროგრამის შემთხვევაში - სტუდენტთა რაოდენობა, სასწავლო ჯგუფების რაოდენობა, განმახორციელებლების შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა (სასურველია ამ პარამეტრის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა);
  - სტუდენტთა საშუალო რაოდენობა, რომლებსაც ასწავლის ერთი განმახორციელებელი (სასურველია ამ პარამეტრის ოპტიმალური მაქსიმალური მნიშვნელობა);
  - თანაფარდობა „სტუდენტი : ლექტორი“ (სასურველია ამ პარამეტრის ოპტიმალური მაქსიმალური მნიშვნელობა).

**მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა**

1. სწორად გათვლილი სტუდენტთა რაოდენობა წარმოადგენს ბნსუ-ს ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ საფუძველს, ხოლო სასწავლო პროცესის დინამიკის (სწავლების პროცესში სტუდენტთა რაოდენობების ცვლილებების) შესწავლა წარმოადგენს სასწავლო პროცესის სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილს, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია ბნსუ-ს, როგორც მატერიალური ობიექტის, შესაძლებლობებით და სასწავლო პროცესისადმი დადგენილი მოთხოვნებით;
- სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-სთვის განსაზღვრული კვირის გაზრდის შემთხვევაში;
- სწავლების სუბიექტების რაოდენობა პირდაპირ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან და საგანმანათლებლო პროგრამის ეკონომიკურ ეფექტიანობასთან (რენტაბელობასთან)

2. იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარ არ არის ცნობილი სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც შეიჩერებენ, აღიდგენენ, შეიწყვე-

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №10			
ნდ №2-010102-10	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	2-5

ტენ სტუდენტის სტატუსს ან მოზილობით სწავლას გააგრძელებენ ბნსუ-ში, შესაძლებელია სტუდენტთა კონტინგენტის არა რეალური, არამედ მხოლოდ სავარაუდო (საპროგნოზო) რაოდენობის განსაზღვრა;

3. სტუდენტთა კონტინგენტის საპროგნოზო რაოდენობების გამოთვლისას ბნსუ იყენებს სტატისტიკური მონაცემების (პროგრამების დინამიკების) ანალიზის მეთოდს, ასევე მეთოდს, რომლის მათემატიკურ საფუძველს წარმოადგენს შემთხვევითი პროცესების თეორია. ამ მეთოდის გამოყენების და გამოთვლების გამარტივების მიზნით პროგრამის ხანგრძლივობა დაყოფილია აკადემიურ წლებად (პირობითად ე.წ. „კურსებად“, თითოეულში - 2 სემესტრი) და განიხილება კურსიდან კურსზე სტუდენტთა გადასვლის (სწავლის გაგრძელების) ალბათობა, რაც შემდგომ გამოიყენება როგორც სტუდენტთა კონტინგენტის საპროგნოზო რაოდენობების, ისე კურსდამთავრებულთა სავარაუდო რიცხვის დასადგენად (ეს მეთოდი გამოიყენება გრძელვადიანი დაგეგმვის მიზნით). გასათვალისწინებელია, რომ კურსიდან კურსზე გადასვლის ალბათობა შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა პროგრამებისთვის. შესაბამისად, თითოეული პროგრამის შემთხვევაში კურსიდან კურსზე სტუდენტთა გადასვლის ალბათობის განსაზღვრისთვის აუცილებელია თითოეული პროგრამის სტუდენტთა რაოდენობების ცვლილებების სტატისტიკური მონაცემების შესწავლა- ანალიზი პროგრამის სრული ციკლის (სრული ხანგრძლივობის) მიხედვით. მაგ.:

სტუდენტთა რაოდენობა (Y)		სწავლის გაგრძელების ალბათობის კოეფიციენტი (K)
საბაკალავრო პროგრამა	I კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	$Y_1$
	II კურსის სტუდენტთა რაოდენობა	$K_{y1} = Y_2 / Y_1$
	III კურსის სტუდენტთა რაოდენობა	$K_{y2} = Y_3 / Y_2$
	IV კურსის სტუდენტთა რაოდენობა	$K_{y3} = Y_4 / Y_3$
	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	$K_{y4} = Y_5 / Y_4$
სამაგისტრო პროგრამა	I კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	$Y_1$
	II კურსის სტუდენტთა რაოდენობა	$K_{y1} = Y_2 / Y_1$
	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	$K_{y2} = Y_3 / Y_2$

- პროგრამის კონკრეტულ კურსზე სტუდენტთა მოსალოდნელი რაოდენობის გამოთვლა შესაძლებელია ფორმულით:  $Y_i = (Y_{i-1}) \times (K_{y_i})$ , სადაც:  $Y_i$  - არის სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა კონკრეტულ კურსზე;  $Y_{i-1}$  - იმავე პროგრამის წინა კურსზე სტუდენტთა რაოდენობა,  $K_{y_i}$  - ამ კურსზე სწავლის გაგრძელების ალბათობის კოეფიციენტი,  $i$  - იმ კურსის რიგითი ნომერი (მეორე, მესამე, მეოთხე), რომლისთვისაც ტარდება გამოთვლა. ანალოგიური პრინციპით შესაძლებელია სტუდენტთა სავარაუდო კონტინგენტის გამოთვლა სემესტრების მიხედვით.
- პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს კურსიდან კურსზე გადასვლის ალბათობა და სტუდენტთა შესაძლო საერთო რაოდენობა, რაც შეიძლება იყოს გამოთვლილი, მაგალითად შემდეგნაირად:

კურსი / აკადემიური წელი	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საპროგნოზო რაოდენობები			
	$(20xx - 20xx)^1$	$(20xx - 20xx)^2$	$(20xx - 20xx)^3$	$(20xx - 20xx)^4$
<b>პროგრამა A (საბაკალავრო პროგრამა)</b>				
I კურსი	A	A	A	A
II კურსი	$A \times K_{a1}$	$A \times K_{a1}$	$A \times K_{a1}$	$A \times K_{a1}$
III კურსი	$A \times K_{a1} \times K_{a2}$	$A \times K_{a1} \times K_{a2}$	$A \times K_{a1} \times K_{a2}$	$A \times K_{a1} \times K_{a2}$
IV კურსი	$A \times K_{a3}$	$A \times K_{a1} \times K_{a2} \times K_{a3}$	$A \times K_{a1} \times K_{a2} \times K_{a3}$	$A \times K_{a1} \times K_{a2} \times K_{a3}$
<b>პროგრამა B (საბაკალავრო პროგრამა)</b>				
I კურსი	B	B	B	B
II კურსი	$B \times K_{b1}$	$B \times K_{b1}$	$B \times K_{b1}$	$B \times K_{b1}$
III კურსი	$B \times K_{b1} \times K_{b2}$	$B \times K_{b1} \times K_{b2}$	$B \times K_{b1} \times K_{b2}$	$B \times K_{b1} \times K_{b2}$
IV კურსი	$B \times K_{b3}$	$B \times K_{b1} \times K_{b2} \times K_{b3}$	$B \times K_{b1} \times K_{b2} \times K_{b3}$	$B \times K_{b1} \times K_{b2} \times K_{b3}$
<b>პროგრამა C (სამაგისტრო პროგრამა)</b>				
I კურსი	C	C	C	C
II კურსი	$C \times K_{c1}$	$C \times K_{c1}$	$C \times K_{c1}$	$C \times K_{c1}$
<b>სულ სტუდენტთა საპროგნოზო რაოდენობა</b>	ზემოთ მითითებული რაოდენობების ჯამი	ზემოთ მითითებული რაოდენობების ჯამი	ზემოთ მითითებული რაოდენობების ჯამი	ზემოთ მითითებული რაოდენობების ჯამი
<b>კურსდამთავრებულთა საპროგნოზო რაოდენობა პროგრამების მიხედვით</b>				$A \times K_{a1} \times K_{a2} \times K_{a3} \times K_{a4}$ $B \times K_{b1} \times K_{b2} \times K_{b3} \times K_{b4}$ $C \times K_{c1} \times K_{c2}$
<b>სულ კურსდამთავრებულთა საპროგნოზო რაოდენობა</b>				ზემოთ მითითებული რაოდენობების ჯამი
<b>ვაკანტური ადგილების საპროგნოზო რაოდენობა</b>				{სტუდენტთა მოსალოდნელი რაოდენობა} - {კურსდამთავრებულთა საპროგნოზო რაოდენობა}
შენიშვნა: 1) A, B, C - სტუდენტთა წლიური რაოდენობა პროგრამების მიხედვით; $(20xx - 20xx)^1$ - სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პირველი აკადემიური წელი, ხოლო $(20xx - 20xx)^2$ , $(20xx - 20xx)^3$ , $(20xx - 20xx)^4$ - ყველა მომდევნო წელი; K - სწავლის გაგრძელების ალბათობის კოეფიციენტი (იხ. ცხრ. #01).				

**მუხლი 4. სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების თანაფარდობა**

1. თანაფარდობა „სწავლების სუბიექტი : ლექტორი“ არის განათლების ხარისხის და სასწავლო პროცესის ეკონომიურობის ერთ-ერთი მაჩვენებელი. თუ ეს მაჩვენებელი მაღალია, მაშინ მაღალია ეკონომიურობა, მაგრამ შესაძლოა დაზარალებდეს განათლების ხარისხი. თუ ეს თანაფარდობა ძალიან დაბალია, მაშინ ეკონომიურობაც იქნება დაბალი, რაც ამცირებს საგანმანათლებლო პროცესის ეკონომიკურ ეფექტიანობას და საფრთხეს უქმნის საგანმანათლებლო პროგრამის რენტაბელობას;
2. ბნსუ-სთვის ათვისების წერტილებია (მინიმალური დასაშვები თანაფარდობები) თანაფარდობა „25 სტუდენტზე : 01 ლექტორი“;
3. პროგრამების მიხედვით პროგრამის განმახორციელებლების საერთო რაოდენობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობები განისაზღვრება ბნსუ-ს მოქმედი დოკუმენტით „პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვის და მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია“.

**მუხლი 5. სასწავლო და საერთო ფართის გავლენა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრაზე**

- 1.მატერიალური და საინფორმაციო რესურსი
  - ა) მატერიალური რესურსი- 9.30-21.30 სამუშაო საათების განმავლობაში უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტით (სასწავლო კურსი/კომპონენტი) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში ქონას (შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე); ასევე საბიბლიოთეკო რესურსების, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას, კერძოდ:
    - სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე მინიმუმ 2 მ<sup>2</sup>;
    - ფოიეები, საპროფესოროები და სხვა თავისუფალი სივრცეები - სასწავლო ფართის 20%;
    - სარეკრეაციო სივრცე - დია სივრცის მინიმუმ 10%;
    - კომპიუტერული ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკასა და საკონსულტაციო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - სტუდენტთა რაოდენობის არა უმეტეს 1/15;
    - საბიბლიოთეკო რესურსი - ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა (ბეჭდვითი ან ელექტრონული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ასევე პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატის სარგებლობის შესაძლებლობით;
    - ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზები;
    - მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
    - სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებისათვის საჭირო მოედნები, დარბაზები და სხვა სივრცეები - ერთ სტუდენტზე 0,2 მ<sup>2</sup>
  - ბ. ბნსუ-ს სასწავლო ფართის გამტარიანობის (სწავლების სუბიექტთა რაოდენობა, რომელიც ერთდროულად შეიძლება განთავსდეს ბნსუ-ს მთელ სასწავლო ფართზე 01 საათის განმავლობაში) გამოთვლისას გასათვალისწინებელია, რომ ბნსუ-ში სასწავლო პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს დღის განმავლობაში (ორშაბათი-პარასკევი - 9<sup>00</sup> - 21<sup>00</sup> სთ, შაბათი - 9<sup>00</sup> - 17<sup>00</sup> სთ) რამდენიმე ცვლად ან ე.წ. „შეჭრილი“ ცხრილებით;
3. სასწავლო ფართის გამტარიანობის გარდა, ბნსუ ითვალისწინებს აუცილებელ საერთო ფართს და საგანგებო სიტუაციებში ნორმატიულ დროში შენობების შეუფერხებლად დატოვების შესაძლებლობას (01 პირისთვის - 1.5 კვ.მ).
4. აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი.

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „მინიგანაწესი“ - დანართი №10			
ნდ №2-010102-10	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	4-5

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი